ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2021 წლის 29 აპრილი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.
შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის №16 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 07/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.138.016330) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის (დებულება):

1. პირველი მუხლის პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურის, სპორტის და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.''
2. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^{1}'' ქვეპუნქტი;
   „ე^{1}) გენდერული თანასწორობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;" .
3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი;
   „ე) გენდერული თანასწორობის განყოფილება."
4. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11^{1} მუხლი:

   „მუხლი 11^{1}. გენდერული თანასწორობის განყოფილება.

   1. გენდერული თანასწორობის განყოფილების ფუნქციებია:

   ა) ადგილობრივ დონეზე, გენდერის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და მუნიციპალური პროგრამების მომზადება;

   ბ) არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით პრობლემების შესწავლა და წინადადებათა შემუშავება;

გ) შესაბამისი პროგრამების შემუშავება და თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან;

დ) მოქალაქეთა სამოქალაქო ცნობადობის ამაღლება გენდერული თანასწობის საკითხებთან მიმართებაში.

ე) უფლებამოსილების ფარგლებში, ,,გენდერული თანასწორობის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესრულება."

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ნოზაძე**